თავი 1

სწავლებისა და სწავლის პირობები

1. წინასიტყვაობა

გაკვეთილის დაგეგმვისას, აუცილებელია ფლობდეთ საკმარისად ნათელ წარმოდგენას როგორც მთლიანად კლასის, ასევე, მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლებისა და სწავლისათვის საჭირო გარემოებების შესახებ. მნიშვნელოვანია, ვხედავდეთ ბავშვებს შორის განსხვავებას, მათი უნარების, ძლიერი და სუსტი მხარეების, შეხედულებების, დამოკიდებულებებისა და ინტერესების თვალსაზრისით.

ერთი მხრივ, თქვენ თავად განსაზღვრავთ სწავლის პირობებს კლასში, სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, რომელსაც თქვენ წინასწარ გეგმავთ. მეორე მხრივ, მიზნებისა და თემის შერჩევისას, აუცილებელია, გაითვალისწინოთ როგორც მთლიანი კლასის, ასევე, მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები.

სწავლის პირობების განსაზღვრით სრულდება გაკვეთილისათვის მოსამზადებელი სამუშაოს პირველი ეტაპი. გაკვეთილის დაგეგმვის შემდგომ ეტაპზე, აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნეს ის ზოგადი, ობიექტური გარემოებები, რომელშიც უნდა განხორციელდეს სწავლების პროცესი. და ბოლოს, არ უნდა დაგავიწყდეთ სწავლების თქვენეული მეთოდები; მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოთ მათი ეფექტური გამოყენება და ამ მეთოდების შემდგომი დახვეწა, თანამიმდევრობით და გონივრული მიდგომით, რათა ამან უარყოფითი ზემოქმედება არ იქონიოს სწავლების პროცესზე.

წინამდებარე თავის დასაწყისში მოცემულია ძირითადი კითხვები, მათ მოჰყვება სამუშაო ფურცლები, რომელთა სარგებლობაც შეგიძლიათ საჭიროების შემთხვევაში.

2. სწავლებისა და სწავლის პირობებთან დაკავშირებული ამოცანა და ძირითადი კითხვები

2.1 ამოცანა

წინამდებარე თავის დასაწყისში მოცემულია ძირითადი კითხვები. შემდგომი კითხვები, რომლებიც მასწავლებელთა თვითკონტროლისთვის არის განკუთვნილი, უფრო დეტალურ მიდგომას გვთავაზობს სწავლის პირობების სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებით.

2.2 ძირითადი კითხვები

— რა ცოდნასა და უნარებს ფლობენ მოსწავლეები მოცემულ ეტაპზე?

— რა ცოდნასა და უნარებს ვფლობ მე?

— რა გარეშე პირობები უნდა გავითვალისწინო?

— რა ვიცი ჩემის მოსწავლეების, როგორც პიროვნებების შესახებ?

— ცოდნის რა ელემენტები და რა ინფორმაცია სჭირდებათ მოსწავლეებს იმისათვის, რომ თავი გაართვან ახალ დავალებას?

— იმ შესწავლის საგანთან დაკავშირებით, რომელიც მოსწავლეებისათვის სიახლეს წარმოადგენს, რა ინფორმაციას, უნარებსა და გამოცდილებას ფლობენ მოსწავლეები მოცემულ ეტაპზე? რა არის ახალი მათთვის, რისი გამეორება მოუწევთ, რა არის უმთავრესი და რა არის მეორეხარისხოვანი?

— როგორია ჩემი მოლოდინი მოსწავლეების მიერ მუშაობისა და სწავლის ტექნიკის დაუფლებასთან დაკავშირებით და როგორია მათი გამოცდილება, სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, სწავლების სხვადასხვა მეთოდსა და ფორმასთან დაკავშირებით?

— რა პოზიტიური ან ნეგატიური დამოკიდებულებების, წინასწარგანწყობის, ჩვევებისა და შეხედულებების გამოვლინების მოლოდინი უნდა მქონდეს?

— როგორ უნდა დავძლიო ის პრობლემები, რომლებიც უკავშირდება მოსწავლეების მხრიდან გამოვლენილ, სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებს, სწავლის პროცესის შემაფერხებელ ფაქტორებსა და მოსწავლეებში სწავლისადმი მონდომებისა და მზადყოფნის ნაკლებობას?

— ადეკვატურად შევაფასე თუ არა მოსწავლეების მზადყოფნა სწავლისათვის, მათი ემოციური მდგომარეობა, მათი რეაგირების უნარი, მათი სწავლის საჭიროებები, მათი გამოცდილება, მათი ინტერესები, თავისუფალი დროის გამოყენების მათეული ჩვევები და ცხოვრებისეული პირობები?

— რა სოციალურ-კულტურული პირობები, ზემოქმედება და დახმარების რა სისტემებია მნიშვნელოვანი კლასში მუშაობისათვის? ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, რა როლს თამაშობენ მშობლები, დედმამიშვილები, თანატოლები ან სხვა პირები?